რუსეთის მოქალაქეების 70% უჭერს მხარს ომს? როგორ ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი „სამხედრო ოპერაციის“ შესახებ

ავტორი: ოლგა დმიტრიევა

რუსეთმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია 2022 წლის 24 თებერვალს დაიწყო. 25 თებერვალს სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრმა (ВЦИОМ) გამოაქვეყნა გამოკითხვის შედეგები: „გვითხარით, უჭერთ თუ არა მხარს რუსეთის სპეციალურ სამხედრო ოპერაციას უკრაინაში?“ გამოკითხულთა 65% პასუხობს, რომ „უფრო მეტად უჭერს მხარს.“ ერთი შეხედვით, სრულიად გაუმართლებელი ომის მხარდაჭერა ძალიან მაღალია. მეორე მხრივ – უკანასკნელი 30 წლის მანძილზე[1] ეს მინიმუმ მეხუთე ომია, რომელშიც რუსეთი მონაწილეობს. მეტიც, შეჭრის მომენტში რუსეთი ისედაც აწარმოებდა ომს. 2022 წლის თავდასხმა ჰიბრიდული ომის გაგრძელებაა, რომელიც 2014 წლიდან არ შეწყვეტილა. ასევე, დღემდე არ დასრულებულია რუსეთის სამხედრო ოპერაცია სირიაში, რომელიც 2015 წელს დაიწყო. შესაძლოა, 30 წლის მანძილზე რუსები მიეჩვივნენ ომს, მიეჩვივნენ გამოკითხვებს ომის შესახებ და მხარდაჭერის ღიად გამოხატვასაც.

ამ სტატიაში განვიხილავთ, იცვლებოდა თუ არა საზოგადოებრივი აზრი იმ ომების შესახებ, რომელსაც რუსეთი აწარმოებდა და როგორი გავლენა შეიძლება ჰქონოდა წინაპირობებს უკრაინის წინააღმდეგ ომთან დამოკიდებულებაზე. უპირველესად, უნდა განვიხილით, როგორი კითხვები დაისმოდა წინა ომებზე და როგორ პასუხობდნენ რუსები (მაგალითად, ყოველთვის ამართლებდნენ თუ არა ძალისმიერ გადაწყვეტილებებს). ასევე, საინტერესოა, რა აქვს საერთო სხვადასხვა ომის აღქმას, რომელი საკითხები და ინტერპრეტაციები მეორდებოდა, და რომლები - არა. დაბოლოს, განვიხილავთ, როგორ ჯდება უკრაინის წინააღმდეგ ომი რუსეთის საზოგადოებრივი აზრის მიერ უკვე ჩამოყალიბებულ ჩარჩოში ომების შესახებ.

რუსეთში არის სამი დიდი კომპანია, რომლებიც ეწევა საზოგადოებრივი აზრის კვლევას, ჩვენ მათ მონაცემებს დავეყრდნობით:

- უკვე ნახსენები ВЦИОМ (სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრი, სახელმწიფო კომპანია);

- ФОМ (ფონდი „საზოგადოებრივი აზრი“ ოფიციალურად რეგისტრირებული, როგორც არაკომერციული ორგანიზაცია, მაგრამ მთავარი დამკვეთი – სახელმწიფო უწყებებია);

- ლევადა-ცენტრი (ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაცია „იური ლევადას ანალიტიკური ცენტრი“, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც რუსეთში აღიარებულია უცხოურ აგენტად).

შეზღუდვები:

სხვადასხვა ომის მიმართ დამოკიდებულების სრულყოფილად შედარება შეუძლებელია, რადგან გამოკითხვებისას, ყოველ ჯერზე, სხვადასხვა კითხვა დაისმის სხვადასხვა კონტექსტში. თუმცა, ისიც კი, თუ როგორაა ჩამოყალიბებული კითხვები, გვეხმარება, დავინახოთ მიზეზები და განსხვავებები სხვადასხვა ომის მიმართ დამოკიდებულებაში.

---

[1] უფლებადაცვითი ორგანიზაცია „მემორიალის“ ანგარიშის ავტორები თვლიან, რომ პოსტსაბჭოთა ომები, რომლებიც რუსეთის მონაწილეობით წარიმართა, ერთმანეთს ჰგავს რუსი სამხედროების მეთოდებისა და დანაშაულების თვალსაზრისით. ასევე არსებობს გარკვეული მსგავსება რუსეთის ხელისუფლების მიერ ამ სამხედრო კონფლიქტების პოზიციონირების დონეზე - 1994 წლიდან ყველა ომს ოფიციალურად უწოდებენ „სპეციალურ ოპერაციებს.“

სავარაუდოდ ან არ შემოგვრჩა, ან ონლაინ არ არის ხელმისაწვდომი ყველა გამოკითხვა, ამიტომ, ეს ანალიზი ამომწურავი ვერ იქნება. ამას გარდა, იმიტომ, რომ ტექსტი არ გადავტვირთოთ, აქ არ მოვიყვანთ ყველა მონაცემს, რომელიც ხელმისაწვდომია, მაგრამ შევეცდებით, გამოვიყენოთ ის მაგალითები, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული პერიოდისთვის.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოებრივი აზრი მედიის გავლენით ყალიბდება, რომელიც რუსეთში ბოლო 25 წლის განმავლობაში სულ უფრო და უფრო კარგავდა თავისუფლებას. თუმცა, პროპაგანდის ანალიზი და გავლენა გამოკითხვების ინდუსტრიაზე ჩვენი თემის საზღვრებს სცდება.

ჩეჩნეთის პირველი ომი: არაპოპულარული და წარუმატებელი

კონფლიქტის ფონი[2]:

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩეჩნეთი დე ფაქტო დამოუკიდებელი იყო.[3] 1991 წელს რესპუბლიკის პრეზიდენტად ჯოხარ დუდაევი აირჩიეს. რუსეთის ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა პრორუსულად განწყობილ ჩეჩნურ ოპოზიციას, ხოლო 1994 წლის დეკემბერში გამოაცხადა, რომ ფედერალური ძალები ჩეჩნეთის ტერიტორიაზე შედიოდა, რის შემდეგაც დაიწყო ომი.[4]

ძირითადი მოვლენები:

გროზნოს შტურმი ფედერალური ჯარების მიერ ორ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, რის შედეგადაც ქალაქი ნანგრევებად იქცა. ჩეჩნეთის პირველი ომის დროს ჩამოყალიბდა რუსეთის ჯარების მიერ ომის წარმოების კარგად ცნობილი სტილი – საცხოვრებელი მასივების სარაკეტო დაბომბვა, დიდი მსხვერპლი სამოქალაქო პირებსა და ჯარისკაცებს შორის ორივე მხრიდან, მოუმზადებლობისა და არაპროფესიონალიზმის თანხლებით.[5] მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ერთ-ერთი მაგალითია მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი მკვლელობა ჩეჩნეთის სოფელ სამაშკიში.[6]

ჩეჩნეთის ტერიტორიაზე სასტიკი ბრძოლების დროს ჩეჩენი მებრძოლები აწყობენ თავდასხმებს რესპუბლიკის გარეთაც:[7] ჩეჩნეთის მოსაზღვრე სტავროპოლის ტერიტორიაზე ბუდენოვსკის

---

[2]აქ და ქვემოთ ნაწილებში „კონფლიქტის ფონი“ და „ძირითადი მოვლენები“ გამოყენებულია სამეცნიერო სტატიები და მედიაში გამოქვეყნებული მასალები. უნდა აღნიშნოს, რომ ასეთ მცირე ინფორმაციაში ვერ მოხვდება ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. ამასთანავე, ამ ტექსტის მიზანი არ გახლავთ ყველა კონფლიქტის რეკონსტრუქცია. ამ ნაწილებში ვცდილობდი შემეხსენებინა ის მოვლენები, რომელთაც ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებრივ აზრზე (მაგალითად, ბრძოლები, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობას ცვლის, ან მოვლენები, სადაც მასობრივად მონაწილეობს რუსეთის მშვიდობიანი მოსახლეობა)..

[3] Scheide, C., & Druey, C. (2023). Timeline of events and processes in Chechnya (1986-2023).

[4] იქვე.

[5] Голубев, О., Малыхин, В., Черкасов, А. (2023). Цепь войн, цепь преступлений, цепь безнаказанности. https://ruswars.org/

[6] იქვე.

[7] საუბარია ჩეჩენ ბოევიკებზე - განხორციელდა თუ არა ეს თავდასხმები ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელისუფლების ბრძანებით, ბოლომდე ცნობილი არ არის. თუმცა, ტერაქტების და მძევლების შემთხვევაში, ბოევიკების ლიდერები ღიად აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს რუსეთის ხელისუფლებასთან და ეჭვგარეშეა მათი მონაწილეობა თავდასხმებში (ჩეჩნეთის მეორე ომის დროს სახლების დაბომბვისგან განსხვავებით). გარდა მძევლების აყვანისა, პირველად მოხდა ტერორისტული თავდასხმები მოსკოვის მეტროში, ავტობუსში ნალჩიკში (ყაბარდო-ბალყარეთი), მოსკოვის ტროლეიბუსებში - მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ჩეჩნურ მხარეს არ აუღია პასუხისმგებლობა ტერორისტულ თავდასხმებზე. მაგრამ რუსმა გამომძიებლებმა და მედიამ ისინი "ჩეჩნურ კვალად" მიიჩნია.

საავადმყოფოში 1500-ზე მეტი მძევლის აყვანა[8] (1995 წლის ივნისი), მძევლების აყვანა[9] დაღესტნის ქალაქ ყიზლარში 1996 წლის დასაწყისში, თურქეთის ტრაპიზონის პორტში ბორანზე „ავრაზია“ მძევლების აყვანა.[10]

ომმა უარყოფითი გავლენა მოახდინა რუსეთის შიდა პოლიტიკაზე. 1996 წელს გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც მოქმედმა პრეზიდენტმა, ბორის ელცინმა კომუნისტური პარტიის კანდიდატი მეორე ტურში დიდი გაჭირვებით დაამარცხა.[11] ჩეჩნეთის ომი უარყოფითად აისახა ხელისუფლების რეიტინგზე, ისე, რომ კამპანიის დროს ზავიც კი დაიდო.[12]

ჩეჩნეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი, ჯოხარ დუდაევი 1996 წლის აპრილში სარაკეტო დარტყმის შედეგად მოკლეს.[13] ომი დასრულდა ხასავიურტის შეთანხმებით,[14] ჩეჩნური ძალების მიერ გროზნოზე თავდასხმიდან თითქმის ექვსი თვის შემდეგ. ჩეჩნეთმა დამოუკიდებელობა მოიპოვა; რესპუბლიკის სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების მიღება კი ხუთი წლით გადაიდო.

სხვადასხვა წყაროს მიხედვით, რუსეთის მხრიდან 4-დან 14 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.[15] ჩეჩნური სამხედრო ფორმირებების მხრიდან კი – 3-დან 10 ათასამდე სამხედრო. უფლებადამცველების[16] თქმით, ომს ჩეჩნეთის რესპუბლიკის 50 ათასამდე მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა.

საზოგადოებრივი აზრი:

ჩეჩნეთში რუსული ჯარების შესვლამდე **რუსებს არ გამოუთქვამთ ამ კონფლიქტში მონაწილეობის სურვილი**. 1994 წლის სექტემბერში, ВЦИОМ-ის შეკითხვაზე რუსეთის პოზიციის შესახებ, 42%-მა უპასუხა, რომ „რუსეთმა ამ კონფლიქტისგან თავი უნდა შეიკავოს“ (მხოლოდ 7%-მა მოიწონა ოპოზიციის მხარდასაჭერად ძალის გამოყენების იდეა).

საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ რუსების განწყობა შეიცვალა, მაგრამ არა – რადიკალურად. 36% ემხრობოდა „პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას,“ 23% იყო „რუსული ჯარების გაყვანის“ მომხრე, ხოლო 30% „ჩეჩნეთში წესრიგის აღდგენის გადამწყვეტი ზომების“ მომხრე იყო (11% უჭირდა პასუხის გაცემა).

შესაძლოა, ომში მონაწილეობაზე უარი განპირობებული იყო იმით, რომ რუსებს მისი წარმატების არ სჯეროდათ. 1995 წლის იანვარში ВЦИОМ-მა რუსებს ჰკითხა: „შეძლებენ თუ არა რუსული ჯარები მშვიდობისა და წესრიგის დამყარებას ჩეჩნეთში უახლოეს კვირებში“. 62% პასუხობს, რომ "არა". „რა

---

[8] Кавказский Узел. (2023). *Теракт в Буденновске*. https://www.kavkaz-uzel.eu/articles/389797

[9] Кавказский Узел. (2024). *Теракт в кизляре и Первомайском (9-18 января 1996 г.)*. https://www.kavkaz-uzel.eu/articles/218853

[10] იქვე

[11] რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ლიდერი გენადი ზიუგანოვი არჩევნების მეორე ტურში გავიდა და რუსეთის მოქმედი პრეზიდენტის, ელცინის შეცვლის დიდი შანსი ჰქონდა. საპრეზიდენტო არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე რუსეთის ფედერაციის კომუნისტურმა პარტიამ საპარლამენტო არჩევნებში მანდატების უმრავლესობა მოიპოვა.

[12] Кочкина. К. (2020). *Хронология Первой чеченской войны*. Настоящее Время. https://www.currenttime.tv/a/budyonnovsk-25-years-war-timeline/30665967.html

[13] Rfe/rl. (2021). *Прошло 25 лет со дня убийства Джохара Дудаева*. Эхо Кавказа. https://www.ekhokavkaza.com/a/31215145.html

[14] Кавказский Узел. (2023). *Хасавюртовские соглашения*. https://www.kavkaz-uzel.eu/articles/295026

[15] Кавказ Реалии. (2017). *Цена войны*. Radio Free Europe / Radio Liberty. https://www.kavkazr.com/a/cena-voiny/28910064.html

[16] Черкасов. А. (2004). *Книга чисел. Книга утрат. Книга страшного суда.* Полит.ру https://web.archive.org/web/20101031033010/http:/www.polit.ru/research/2004/02/19/kniga_chisel.html

არის ჩეჩნეთში რუსული ჯარების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი?“ 42% - „უუნარო მეთაურობა, არასწორად დაგეგმილი ოპერაცია.“

ამავდროულად, გამოკითხვების მიხედვით, რუსებმა იცოდნენ ფედერალური ძალების სისასტიკის შესახებ და გმობდნენ მას: „მომხრე ხართ გროზნოს სარაკეტო და დაბომბვის?“ 77% პასუხობს, რომ არა, 12% პასუხობს –დიახ.

ერთი მხრივ, გამოკითხვები აჩვენებს სკეპტიციზმს მოლაპარაკებების მიმართ, მეორე მხრივ, მოლაპარაკებები მაინც საუკეთესო გამოსავლად მიაჩნიათ. მაგალითად, ბუდენოვსკის შემდეგ 50% თვლის, რომ „შეუძლებელია, მოლაპარაკებებმა მშვიდობამდე და გონივრულ კომპრომისამდე მიგვიყვანოს“, 22%-ს მიაჩნია, რომ ეს შესაძლებელია. გამოკითხულთა მხოლოდ 3% არის „მოლაპარაკების წინააღმდეგი და პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტის მომხრე.“ ხასავიურტის შეთანხმება უფრო ოპტიმისტურად აღიქმება; გამოკითხულთა 45% თვლის, რომ თუ მკაცრად დაიცავენ, ის მოიტანს მდგრად მშვიდობას ჩეჩნეთში (30% ამის არ სჯერა).

ჩეჩნეთის პირველ ომში ფაქტობრივმა დამარცხებამ არ გამოიწვია დიდი იმედგაცრუება ან შურისძიების სურვილი. მაგალითად, 1996 წლის ნოემბრის გამოკითხვის მიხედვით: „რა პოზიცია უნდა ჰქონდეს ახლა რუსეთის მთავრობას ჩეჩნეთის მიმართ? 33%-მა უპასუხა, რომ „ჩეჩნეთის მოსახლეობამ თავად უნდა მოაგვაროს პრობლემები.“ 26% „თანახმაა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისა, თუკი ხალხი ასეთ სურვილს გამოთქვამს რეფერენდუმზე“. 24% კი ამბობს, „გაიყვანეთ ყველა ჯარი ჩეჩნეთიდან“ (ესაა სამი ყველაზე პოპულარული პასუხი).

ამრიგად, საზოგადოებრივი აზრი არ უჭერდა მხარს ჩეჩნეთის პირველ ომს და გამოკითხვებში არ ჩანს მოსაზრება ტერიტორიული მთლიანობის მნიშვნელობის შესახებ (ორი წლის განმავლობაში პოპულარული პასუხი იყო ასეთი: „ჩეჩნეთს შეუძლია გამოეყოს და საკუთარი პრობლემები გადაჭრას“). ქვეყნის ხელმძღვანელობისა და სამხედრო სარდლობის ქმედებებს უუნარობისა და სისასტიკის გამო გმობენ. გამოკითხვები არ აჩვენებს ძალისმიერი გადაწყვეტის მნიშვნელოვან მხარდაჭერას.

ჩეჩნეთის მეორე ომი: პირველის გაგრძელება, მაგრამ ახალი ლიდერით

კონფლიქტის ფონი:

ჩეჩნეთის პირველი ომის დასრულების შემდეგ რესპუბლიკის სტატუსი გაურკვეველი რჩებოდა. მიუხედავად ამისა, 1997 წელს იმართება არჩევნები, რომელშიც ასლან მასხადოვი იმარჯვებს. ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ ძალიან მძიმეა და კრიმინალის დონე იზრდება. მეორე ომის დაწყებამდე ჩეჩნეთის რესპუბლიკაში იყო შიდა დაპირისპირება ხელისუფლებასა და რადიკალურ ისლამისტურ ძალებს შორის. დროდადრო კონფლიქტი ჩეჩნეთის „საზღვრებს სცდება“ – ხდება გატაცებები,[17] ტერაქტები[18] და ისლამისტური ჯგუფები აქტიურდებიან ჩეჩნეთის მეზობელ რეგიონებში.[19]

ძირითადი მოვლენები:

ომის ფაქტობრივი დასაწყისად იქცა 1999 წლის აგვისტოში შამილ ბასაევისა და ხატაბის დაჯგუფებების დაღესტანში შეჭრა.[20]

1999 წლის სექტემბრის დასაწყისში მოსკოვში, ვოლგოდონსკსა და ბუინაკსკში აფეთქდა საცხოვრებელი კორპუსები. ოთხი ტერაქტის შედეგად დაიღუპა 307 ადამიანი და დაშავდა 1700-ზე

[17] Кавказский Узел. (2017). *Ичкерийский киднеппинг. как в чечне похищали людей*. https://www.kavkaz-uzel.eu/articles/297506/

[18] РБК. (2009). *ФСБ раскрыла теракты в “Интуристе” и “Охотном ряду.”* https://www.rbc.ru/society/16/10/2009/5703d6ed9a7947733180bc69

[19] Мантаев, А. А. (2002). "Ваххабизм" и политическая ситуация в Дагестане.

[20] Scheide, C., & Druey, C. (2023). Timeline of events and processes in Chechnya (1986-2023).

მეტი. ორგანიზატორები იყვნენ ჩეჩენი საველე მეთაურები ხატაბი და აბუ უმარი (ორივე დაიღუპა ომის დროს, ისე, რომ არ გაუსამართლებიათ). არსებობს ვერსია, რომ ტერაქტის უკან რუსული სპეცსამსახურის (ФСБ) თანამშრომლები იდგნენ.[21]

კონტრტერორისტული ოპერაცია ჩრდილოეთ კავკასიაში (ჩეჩნეთის მეორე ომის ოფიციალური სახელწოდება) ოფიციალურად იწყება 1999 წლის 23 სექტემბერს. „ოპერაციის“ დაწყების გამოცხადების შემდეგ, რუსეთის ჯარებმა გროზნოზე საჰაერო დარტყმები განახორციელა. 24 სექტემბერს რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლება ტერორისტებს დაედევნება და, საჭიროების შემთხვევაში, „ჩახოცავს ტუალეტში“. 30 სექტემბერს ფედერალური ჯარები ჩეჩნეთის ტერიტორიაზე შევიდნენ.[22]

2000 წლის თებერვლის დასაწყისში ფედერალური ჯარები შემოიჭრნენ გროზნოში, რის შედეგადაც შეტაკებებისას ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.[23] ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებიდან მალევე გაჩნდა ცნობები ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების შესახებ.[24] გარდა განურჩეველი დაბომბვებისა და სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმებისა, ფედერალურმა ძალებმა მიმართეს გატაცებებს, მასობრივ მკვლელობებს (ე.წ. "ზაჩისტკი") და სასამართლოს გარეშე მკვლელობებს. „მემორიალის“ ცნობით, ომის დროს 10-დან 20 ათასამდე ადგილობრივი მცხოვრები დაიღუპა, დაახლოებით 5000 უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.[25]

რუსეთის ხელისუფლებამ 2000 წლის აპრილში გამოაცხადა, რომ „ოპერაციის“ სამხედრო ნაწილი დასრულდა. 2001 წლის იანვარში ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსული ჯარები ნაწილობრივ გადიოდნენ ჩეჩნეთიდან. ჩეჩნეთის მმართველად ახმად კადიროვი დაინიშნა. კონტრტერორისტული ოპერაცია ახალი ხელისუფლებისა და რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებმა ერთობლივად გააგრძელეს.[26]

ჩეჩენი ბოევიკების ცალკეული ნაწილები პარტიზანული ომის ტაქტიკაზე გადავიდნენ. 2002 წლის ოქტომბერში ისინი შეიჭრნენ თეატრალურ ცენტრ დუბროვკაზე მოსკოვში (დაიღუპა 130-დან 174-მდე ადამიანი). 2004 წლის სექტემბერში – ბესლანის No1 სკოლაში (დაიღუპა 334 ადამიანი).[27]

ჩეჩნეთში კონტრტერორისტული ოპერაციის რეჟიმი მხოლოდ 2009 წელს გაუქმდა.[28]

საზოგადოებრივი აზრი:

ომის დაწყებამდე რუსული საზოგადოება საკმაოდ მშვიდობიანად იყო განწყობილი. 1998 წლის დასაწყისში ФОМ-მა გამოაქვეყნა გამოკითხვის შედეგები: „როგორ ფიქრობთ, რომელი მხარეა უფრო დამნაშავე იმ დაძაბულობის გამო, რომელიც ვითარდება რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის – რუსეთი თუ ჩეჩნეთი? 33%-მა უპასუხა „რუსეთი და ჩეჩნეთი თანაბრად“, 30%-მა – „უფრო მეტად რუსეთი“, 21%-მა – „უფრო მეტად ჩეჩნეთი“, 5%-მა – „არც რუსეთი და არც ჩეჩნეთი“.

ასევე, 1999 წლისთვის რუსეთის მოსახლეობა იწყებდა იმის გააზრებას და მიღებას, რომ, შესაძლოა, ჩეჩნეთი ცალკე გასულიყო. 1995 წლიდან ФОМ-ი სვამდა კითხვას: „ჩეჩნეთი რუსეთის ნაწილია თუ დამოუკიდებელი სახელმწიფო?“ 1999 წლის მაისში, მეორე საომარი კამპანიის დაწყებამდე

---

[21] Кречетников, А. (2019). 20 лет взрывам домов в городах России: как развивались события. https://www.bbc.com/russian/features-49629074

[22] Кавказский Узел. (2019). *20 лет спустя: главное о Второй чеченской войне*. https://www.kavkaz-uzel.eu/articles/301120

[23] იქვე.

[24] Human Rights Watch. (2001). The “dirty war” in Chechnya. https://www.hrw.org/reports/2001/chechnya/index.htm

[25] цит. по Кавказский Узел. (2019). *20 лет спустя: главное о Второй чеченской войне*. https://www.kavkaz-uzel.eu/articles/301120

[26] იქვე

[27] იქვე

[28] იქვე

რამდენიმე თვით ადრე, უმრავლესობა პირველად გადაიხარა იქით, რომ ჩეჩნეთი „დამოუკიდებელი სახელმწიფო“ იყო (44% ასე პასუხობდა, ხოლო „რუსეთის ნაწილია“ – 41%).

ამას გარდა, ბევრი რუსი ფიქრობდა, რომ ჩეჩნეთი უნდა გამხდარიყო **დამოუკიდებელი სახელმწიფო**. ФОМ-ის 1998 წლის იანვრის გამოკითხვა: „ამჟამად რუსეთი და ჩეჩნეთი განიხილავენ ჩეჩნეთის სტატუსის საკითხს. თითოეული მხარე გთავაზობთ საკუთარ ვარიანტებს. ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებას ეთანხმებით?

● 42%: „ჩეჩნეთი გამოეყოს რუსეთის ფედერაციას და გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო“;

● 27%: „ჩეჩნეთთან სპეციალური ორმხრივი შეთანხმება უნდა დაიდოს, რათა ჩეჩნეთი გახდეს დამოუკიდებელი რესპუბლიკა რუსეთის შემადგენლობაში, როგორც თათარსტანი“;

● 18%: „არ არის საჭირო ჩეჩნეთთან სპეციალური ხელშეკრულების გაფორმება, ჩეჩნეთს არ უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული უფლებები და თავისუფლებები რუსეთის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით.“

რუსულ საზოგადოებაში ჩეჩნეთის მიმართ დამოკიდებულება **შეიცვალა 1999 წლის შემოდგომიდან**, საომარი მოქმედებების დაწყებასთან ერთად. 1999 წლის სექტემბრის ბოლოს 47% ამბობდა, რომ ჩეჩნეთი რუსეთის ნაწილია, 1999 წლის დეკემბერში კი – უკვე 72%. მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნეთის მეორე ომი პირველის გაგრძელებად აღიქმება, მის მიმართ დამოკიდებულება განსხვავებულია. პასუხის ვარიანტებში ნათქვამია, რომ „ახლა სამხედრო მოქმედებები გამართლებულია და აუცილებელია“ და „ახლა სამხედრო მოქმედებები ტარდება კომპეტენტურად, რუსული მხარის მინიმალური დანაკარგებით.“

არსებობს მოსაზრება, რომ ჩეჩნეთის მეორე ომი დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა დაღესტანზე ჩეჩენი ბოევიკების თავდასხმისა და 1999 წლის შემოდგომაზე განხორციელებული ტერაქტების გამო. მაგრამ აუხსნელია, თუ რატომ არ გამოიწვია ჩეჩნეთის პირველი ომის მოვლენებმა იგივე მხარდაჭერა.

ჩეჩნეთის მეორე ომის დროს საზოგადოება უფრო მეტად შემწყნარებლურად იყო განწყობილი სამხედროების სისასტიკის მიმართ. 2000 წლის დასაწყისში რუსმა გენერალმა ალექსანდრე რუცკოიმ განაცხადა, რომ „ჩეჩნეთი გობის უდაბნოდ უნდა იქცეს“. ВЦИОМ-მა დასვა კითხვა: „პირადად დაუჭერდით თუ არა მხარს ალექსანდრე რუცკოის განცხადებას იმის შესახებ, რომ ჩეჩნეთი „გობის უდაბნოში უნდა გადაიქცეს“? 57% პასუხობს: „არა და ნაწილობრივ არა“ (34% კი პასუხობს: „დიახ და ნაწილობრივ დიახ“). ხუთი წლის წინ, რესპონდენტთა მხოლოდ 12%-მა უპასუხა „დიახ“ უფრო ნეიტრალურად ჩამოყალიბებულ კითხვას გროზნოს „სარაკეტო დაბომბვის“ მხარდაჭერის შესახებ.

სხვა საკითხებიდანაც ასევე ჩანს, რომ 2000-იანი წლების დასაწყისში **ძალა ღირებულებად იქცა:** „გგონიათ, რომ არმიის, ავიაციის, არტილერიის, ტანკების გამოყენება ჩეჩნეთში წესრიგის აღსადგენად სახელმწიფოს სიძლიერის ნიშანია, რომელიც მზად არის გამოიყენოს უკიდურესი ზომები წესრიგის აღსადგენად, თუ მიუთითებს სახელმწიფოს სისუსტის შესახებ, რომელსაც არ შეუძლია სახიფათო სიტუაციის სხვა საშუალებებით გადაჭრა?” 55% პასუხობს, რომ ეს სიძლიერის ნიშანია, 25% კი – სისუსტის.

1999 წლის ნოემბრის და 2000 წლის იანვრის გამოკითხვები: „როგორ აფასებთ რუსული ჯარების მოქმედებებს ჩეჩნეთში: „საკმარისად მკაცრი და გადამწყვეტია თუ არა?“ 1999 წლის ნოემბერში 48%-ს სჯეროდა, რომ „საკმარისად მკაცრი და გადამწყვეტია“, ხოლო 29% ფიქრობდა, რომ „არ იყო საკმარისად მკაცრი და გადამწყვეტი“. 2000 წლის იანვარში მონაცემები ასე გაიყო – 44% და 38%. პასუხებში გასაკვირი არ არის მხოლოდ სისასტიკეზე მოთხოვნის ზრდა გროზნოსთვის მორიგი დესტრუქციული ბრძოლის ფონზე, არამედ სისასტიკის „ადეკვატურობის“ საკითხის ფორმულირება. „ძალიან მკაცრი და ნაჩქარევია“ – ასე ორივეჯერ უპასუხა მხოლოდ 7%-მა.

ასევე ჩეჩნეთის მეორე ომის დროს გამოკითხვებში გაჩნდა დასავლეთთან დაპირისპირების იდეა. მაგალითად, ВЦИОМ კითხულობს: „პირადად ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით ევროპული

საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენლის ბრალდებას, რომ ჩეჩნეთში სამხედრო ოპერაციის დროს ადამიანის უფლებები ირღვევა?“ 52% – „ არა და ნაწილობრივ არა,“ 35% – „დიახ და ნაწილობრივ დიახ". აქ საუბარია არა ადამიანის უფლებების დარღვევაზე, არამედ „ევროპული საზოგადოების“ გარკვეული წარმომადგენლების მოსაზრებაზე.

ამავდროულად, ჩნდება გულგრილობა სანქციების მიმართ, მთლად ისეთი არა, როგორც 2020-იანი წლების დასაწყისში: „თუ დასავლეთის ქვეყნები მკაცრ ეკონომიკურ სანქციებს შემოიღებენ რუსეთის წინააღმდეგ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის გამო ჩეჩნეთის მიმართ, თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს რუსეთის მთავრობამ? 38% – „იგნორირება გაუკეთეთ ამ ქმედებებს და განაგრძეთ იგივე საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარება“. 22% – „შეეცადეთ იპოვოთ კომპრომისი, გადახედეთ თქვენს დამოკიდებულებას ჩეჩნეთში სამხედრო ოპერაციის მიმართ“. 19% – „შემოიღეთ მკაცრი საპასუხო სანქციები ამ ქვეყნების წინააღმდეგ.“

დასავლეთთან არაპირდაპირი „კამათის“ კიდევ ერთი მაგალითია 2000 წლის აპრილში დასმული კითხვა: „ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ მოსაზრებას ეთანხმებით ჩეჩნეთში მშვიდობიანი მოსახლეობის მდგომარეობასთან დაკავშირებით?“ 20% – „ჩეჩნეთში მშვიდობიანი მოსახლეობა მართლაც ძალიან იტანჯება და დასავლეთის აზრი უნდა გაითვალისწინონ.“ 32% – „ჩეჩნეთში მშვიდობიანი მოსახლეობის ტანჯვა გაზვიადებულია დასავლური პროპაგანდის მიერ, რათა დაადანაშაულონ და დაამცირონ რუსეთი“. 36% – „ჩეჩნები თავად არიან დამნაშავენი თავიანთი უბედურებაში, ის მიიღეს, რასაც იმსახურებენ.“ პასუხებში ხაზგასმულია, თუ ვინ გამოხატავს ამ პოზიციას და იმასაც კი, თუ რა მიზნით არის გამოხატული ის („რუსეთის დადანაშაულება და დამცირება“). პასუხის მესამე ვარიანტი, „თვითონ ჩეჩნები არიან დამნაშავენი“, საერთოდ არაფერს ამბობს „მშვიდობიანი მოსახლეობის მდგომარეობაზე“, რის შესახებაც, თითქოს უნდა დასმულიყო შეკითხვა.

ომისა და ხელისუფლების მხარდაჭერა. „ჩეჩნეთი თანდათან იგივე ტვირთად იქცა პუტინისთვის, როგორც ელცინისთვის იყო, – წერს ВЦИОМ-ის ანალიტიკოსი სედოვი. „გაწუხებთ, რომ ვ. პუტინმა ჩეჩნეთის პრობლემა ვერ გადაჭრა? 78% – დიახ, 19% – არა (2000 წლის ივნისი). **თუმცა, აქ შეიძლება იყოს უკუკავშირიც. პუტინის მაღალმა რეიტინგმა საწყის ეტაპზე სამხედრო კამპანიის პოპულარობა ვერ უზრუნველყო.** თუკი 1999-2000 წლების დეკემბერ-იანვარში რუსების 71% თვლიდა საომარ მოქმედებებს წარმატებულად, 2000 წლის ბოლოს მათი რიცხვი 33%-მდე შემცირდა (51% თვლიდა, რომ წარუმატებელია). 2000 წლის ივნისში გამოკითხულთა 78% ამბობს, რომ მათ აწუხებთ ის, რომ პუტინმა „ვერ შეძლო ჩეჩნეთის პრობლემის გადაწყვეტა. თუმცა, ამასთანავე, მისი მხარდაჭერის დონე მხოლოდ უმნიშვნელოდ დაეცა.

ჩეჩნეთის მეორე ომის მაგალითზე ჩანს, რომ საზოგადოება ომის დაწყებამდე, შესაძლოა, გულგრილი ან თუნდაც მშვიდობიანად განწყობილი ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ მოიწონა სამხედრო ჩარევა. კითხვებისა და პასუხების ფორმულირებაში ჩნდება ძალის დემონსტრირების იდეა, სიმკაცრე და სიმტკიცე. იწყება რუსეთის ხელისუფლებისა და სამხედროების ქმედებების შეფასება დასავლეთთან დაპირისპირების კონტექსტში. დაბოლოს, სამხედრო ჩარევის მხარდაჭერის იდეა უკავშირდება ხელისუფლების მხარდაჭერას. შესაძლოა, ასევე იყო ჩეჩნეთის პირველი ომის დროს, მაგრამ საპირისპირო მიმართულებით (ელცინს ძალიან დაბალი რეიტინგი ჰქონდა 90-იანი წლების შუა ხანებში).

ომი საქართველოსთან: ომი „მშვიდობისთვის“

წინაპირობები:

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი ასევე უკავშირდება სსრკ-ს დაშლის შედეგებს. 1991-1992 წლების დაპირისპირება დაგომისის ხელშეკრულებების ხელმოწერით დასრულდა. რეგიონს ერთობლივად აკონტროლებდნენ საქართველოს, თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის,

რუსეთის ჩრდილოეთ ოსეთისა და რუსეთის ძალები. 1992 წლიდან საქართველომ დე ფაქტო კონტროლი დაკარგა ამ რეგიონზე.[29]

ძირითადი მოვლენები:

ორიათასიანი წლების შუა ხანებში სიტუაცია ცხინვალის რეგიონში მწვავდება. ერთი მხრივ, ხდება ახალი შეტაკებები[30] და ადგილი აქვს პროვოკაციებს, ხოლო მეორე მხრივ – საქართველოს ხელისუფლება ცდილობს[31] მიაღწიოს წარმატებას მოლაპარაკებებით.

2008 წლის პირველ ნახევარში მდგომარეობა თანდათან გაუარესდა. სროლების რაოდენობა და ინტენსივობა იზრდება. აგვისტოს დასაწყისში სამხრეთ ოსეთსა და ქართულ ჯარებს შორის რამდენიმე შეტაკების შემდეგ, დაძაბულობამ პიკს 2008 წლის 7 აგვისტოს მიაღწია. საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ცეცხლს წყვეტდა, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ ქართულმა ძალებმა ცხინვალზე შეტევა დაიწყეს. ამავდროულად რუსეთი აგზავნის არმიას ქართულ ჯარებთან დასაპირისპირებლად.[32]

რუსეთ-საქართველოს ომის აქტიური ფაზა ხუთ დღეს გაგრძელდა. რუსული ჯარები ცხინვალის რეგიონის საზღვრის მიღმა მიიწევენ და ასევე, ბომბავენ საქართველოს სხვა ქალაქებს.[33]

2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთი ოფიციალურად აცხადებს, რომ „ოპერაცია დაასრულა."[34] შეთანხმების გეგმა საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის[35] შუამავლობით შემუშავდა. რუსული ჯარები არღვევენ შეთანხმებას და რჩებიან ცხინვალის რეგიონისა და არაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ოკუპირებული აქვთ ეს ტერიტორიები. 26 აგვისტოს რუსეთმა „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა" აღიარა.[36]

ომში ასობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, 100 ათასზე მეტი კი იძულებული გახდა, დაეტოვებინა სახლი. ცხინვალის რეგიონში რამდენიმე ქართული სოფელი მთლიანად განადგურდა.[37]

საზოგადოებრივი აზრი:

საქართველოსთან შესაძლო **კონფლიქტი და ურთიერთობების დამძიმება ესკალაციამდე წლებით ადრე გაჩნდა გამოკითხვებში**. მაგალითად, ФОМ 2001 წლიდან ატარებს გამოკითხვებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ. რესპონდენტები პერიოდულად საუბრობენ ურთიერთობების გაუარესებაზე, რაც ალბათ ახალ ამბებს უკავშირდება. მაგალითად, 2002 წელს გამოკითხულთა 61%-ს სჯეროდა, რომ საქართველოში ამერიკელი სამხედროების საკონსულტაციოდ მოწვევა რუსეთს დააზიანებდა. ამასთან, 55%-მა აღნიშნა, რომ საქართველოში ამერიკული ჯარების ყოფნა საფრთხეა რუსეთისთვის.

---

[29] ICG. (2004). Georgia: Avoiding War in South Ossetia.
http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/UNTC/UNPAN019224.pdf

[30] იქვე.

[31] Devdariani, J. (2004) *Expectations Low for Georgia-South Ossetia Talks.*
http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav110404.shtml

[32] *Uppsala Conflict Data Program*. UCDP. (n.d.). https://ucdp.uu.se/conflict/393

[33] Amnesty International. (2008). *Civilians in the line of fire:*
the Georgia-Russia conflict. https://www.amnesty.org/en/wp-content/uploads/2021/06/eur040052008eng.pdf

[34] ოფიციალურად რუსეთში ომს უწოდებენ „ოპერაციას მშვიდობის იძულების მიზნით."

[35] Guardian News and Media. (2008). *Georgia and Russia declare ceasefire*. The Guardian.
https://www.theguardian.com/world/2008/aug/16/georgia.russia2

[36] РБК. (2008). Д.Медведев признал независимость Южной Осетии и Абхазии.
https://www.rbc.ru/politics/26/08/2008/5703ce849a79473dc81487d9

[37] Amnesty International. (2008). *Civilians in the line of fire:*
the Georgia-Russia conflict. https://www.amnesty.org/en/wp-content/uploads/2021/06/eur040052008eng.pdf

2005 წელს ФОМ-ის გამოკითხვაში 61%-მა უპასუხა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს „უთანხმოება და დაძაბულობა, რომელიც სერიოზულად ართულებს ურთიერთობებს“. 19%-ს გაუჭირდა უთანხმოების მიზეზის დასახელება, 14%-ის თქმით, უთანხმოება უკავშირდება „სამხედრო ბაზების პრობლემას, საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური ჯარების ყოფნას.“ უთანხმოების მიზეზად მხოლოდ 2%-მა დაასახელა „რუსეთის მხარდაჭერა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ“.

ამასთანავე, **გამოკითხვებში რუსები, როგორც ადრე, საკმაოდ ნეიტრალურ პოზიციას იკავებენ, კონფლიქტი განიხილება, როგორც დაპირისპირება საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის და იქ რუსეთი არ უნდა ჩაერიოს.**

ВЦИОМ-მა ჯერ კიდევ 2004 წელს ჩართო გამოკითხვაში კონფლიქტში რუსეთის სამხედრო ჩარევის შესაძლებლობა. კითხვა: „თუ სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტი შეიარაღებულ ფაზაში გადაიზარდა, როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა მოიქცეს რუსეთი?“ 34% – „რუსეთმა არ უნდა დაუჭიროს მხარი არც ერთ დაპირისპირებულ მხარეს.“ 29% – „რუსეთმა უნდა აღეკვეთოს შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას შორის შუამავლობით“. 14%-ს სჯეროდა, რომ „რუსეთი საომარ მოქმედებებში არ უნდა შესულიყო, მაგრამ სამხრეთ ოსეთს იარაღით და ფინანსებით უნდა დახმარებოდა“. 6% კი თვლიდა, რომ „რუსეთს სამხრეთ ოსეთისთვის სამხედრო დახმარება უნდა გაეწია“ (16%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა).

2004 წლიდან „ლევადა-ცენტრი“ თავის რესპონდენტებს უსვამს შეკითხვებს „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ“. რესპონდენტებს ეკითხებიან: „თქვენ ფიქრობთ, რომ სამხრეთ ოსეთი არის...“ „თქვენ გგონიათ აფხაზეთი...“ „როგორ ფიქრობთ, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი არის...“ პასუხის ვარიანტები იგივეა: „საქართველოს ნაწილი“, „რუსეთის ნაწილი“, „დამოუკიდებელი სახელმწიფო“. ამასთან, დაისვა კითხვა სტატუსზეც: „სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში უნდა იყოს, რუსეთის შემადგენლობაში თუ დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა იყოს? „აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში უნდა იყოს, რუსეთის შემადგენლობაში თუ დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა იყოს? პასუხის ვარიანტები იმეორებს კითხვის ბოლოებს: „საქართველოს ნაწილი“, „რუსეთის ნაწილი“, „დამოუკიდებელი სახელმწიფო“. ზოგად კითხვაში „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი უნდა...“ პასუხის ვარიანტები გარკვეულწილად განსხვავებულია: „დაუბრუნდეს საქართველოს“, „დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ“, „შეუერთდნენ რუსეთს.“

მაგალითად, 2008 წლის თებერვალში კითხვაზე „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი უნდა...“ 11%-მა უპასუხა „დაუბრუნდნენ საქართველოს“, 26%-მა – „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ“, 33%-მა – „შეუერთდნენ რუსეთს“ (31%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა)

ომის დროს საზოგადოებრივი აზრი უფრო რადიკალური გახდა. 2008 წლის 9-10 აგვისტოს ლევადა-ცენტრმა ჩაატარა გამოკითხვა „რუსულ-ქართული კონფლიქტის შესახებ.“ 46%-მა თქვა, რომ სამხრეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში უნდა შევიდეს. 81%-მა მიიჩნია, რომ რუსეთმა „შექმნილ ვითარებაში სამხრეთ ოსეთს პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული მხარდაჭერა უნდა გაუწიოს“. 53%-მა – რუსეთმა „შექმნილ ვითარებაში თავისი ჯარები სამხრეთ ოსეთში უნდა გაგზავნოს“ (36%-ს მიაჩნია, რომ – არა). 57% დადებითად აფასებდა იმ ფაქტს, რომ „რუსეთიდან იგზავნებიან მოხალისეები სამხრეთ ოსეთის მხარეს საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად“ (33% – უარყოფითად).

ВЦИОМ-ის მიერ 2008 წლის 14 აგვისტოს გამოქვეყნებულ კვლევაში გამოკითხულთა **54% მიიჩნევს, რომ კონფლიქტში საქართველოს მთავრობაა დამნაშავე, 22% აშშ-ს ადანაშაულებს,** 12% კი მიიჩნევს, რომ რუსეთის, საქართველოს და სამხრეთ ოსეთის მთავრობები ერთნაირად არიან დამნაშავენი (რუსეთის და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაა დამნაშავე –1%). 59%-მა განაცხადა, რომ რუსეთი „სასწრაფოდ უნდა ჩარეულიყო სიტუაციაში, რათა დასრულებულიყო სამხედრო კონფლიქტი და დაწყებულიყო სამშვიდობო მოლაპარაკები.“ 27%-ს სჯეროდა, რომ რუსეთი „სამხრეთ ოსეთს უნდა დახმარებოდა და კონფლიქტში სასწრაფოდ უნდა ჩარეულიყო.“

2008 წლის 15 აგვისტო, ВЦИОМ-ის კითხვა: „საქართველო მოითხოვს სამხრეთ ოსეთიდან **რუსი მშვიდობისმყოფელების** გამოყვანას. როგორ უნდა მოიქცეს რუსეთი ამასთან დაკავშირებით? 72% – „დატოვეთ სამშვიდობოები სამხრეთ ოსეთში, საქართველოს მოთხოვნების უგულებელყოფით“. 30%, ვინც თვლის, რომ „სამშვიდობოები“ უნდა დარჩნენ, მოტივირებულია იმით, რომ „ეს აუცილებელია წესრიგის აღსადგენად და მშვიდობის შესანარჩუნებლად,“ 23% – „რუსეთის გარდა არავინ დაიცავს ადგილობრივ მოსახლეობას,“ 21% – „კონფლიქტის ზონიდან რუსული ჯარების გაყვანის შემდეგ საქართველო ისევ დაესხმება თავს სამხრეთ ოსეთს, იქნება ქაოსი და ადგილობრივი მოსახლეობის გენოციდი.“

რუსეთ-საქართველოს ომის მაგალითზე ჩანს, რომ კონფლიქტის ცხელი ფაზის დაწყებამდე საზოგადოებრივი აზრი შეიძლება ნეიტრალური იყოს. ამავდროულად, ომის შესაძლებლობა მის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე განიხილება. ისევე, როგორც ჩეჩნეთის მეორე ომის დროს, საზოგადოებრივ აზრზე გავლენას აქვს მოსაზრებებს „დასავლეთის როლის“ შესახებ. გამოკითხვები არბილებს სამხედრო აგრესიის მიმართ დამოკიდებულებას კონკრეტული სიტყვების არჩევით – მოხალისეები“, „მშვიდობისმყოფელები“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კითხვა „რუსი სამხედროების“ ყოფნის შესახებ რესპონდენტებს უფრო მეტად დააფიქრებს, ვიდრე „სამშვიდობოების“ შესახებ. დაბოლოს, 2008 წლის გამოკითხვებში პირველად ჩნდება ჯარების მშვიდობიანი მოსახლეობის „დასაცავად“ და „მშვიდობის შესანარჩუნებლად“ გაგზავნის მოტივაცია.

ომი დონბასში: „მოხალისეების“ სუსტი მხარდაჭერა

კონფლიქტის ფონი:

რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ 2014 წელს დაიწყო შიდა კრიზისის ფონზე (პროვოცირებული იყო რუსეთის მიერ უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე უარით და შემდგომ ევრომაიდანით, ანუ ღირსების რევოლუციით).[38]

ძირითადი მოვლენები:

ყირიმის დაპყრობა[39] 2014 წლის თებერვალ-მარტში. რუსმა სამხედროებმა, რომლებსაც არ ჰქონდათ რაიმე საიდენტიფიკაციო ნიშანი, დაამყარეს კონტროლი სამთავრობო ორგანოებზე და დაბლოკეს უკრაინის სამხედრო ნაწილები. 16 მარტს გაიმართა ე.წ. „რუსეთთან შეერთების რეფერენდუმი.“ არც უკრაინამ და არც მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობამ არ აღიარა რუსეთის სუვერენიტეტი ყირიმზე.

აპრილში მსგავსი მოვლენები ხდება აღმოსავლეთ უკრაინაში. რუსები, რომელთაგან ზოგიერთი მონაწილეობდა ყირიმის ანექსიაში, იკავებენ ადმინისტრაციულ შენობებს ლუგანსკის რეგიონში და ხელმძღვანელობენ ადგილობრივ, სეპარატისტულად განწყობილი ჯგუფებს.[40]

უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მაისის ბოლოს, უკრაინული ძალები იწყებენ წინსვლას პრორუსული ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. რუსეთი სეპარატისტებს იარაღით ამარაგებს, რუსი „მოხალისეების“ გარდა, რუსული არმიის რეგულარული ნაწილები ფარულად მონაწილეობენ აღმოსავლეთ უკრაინის ომში.[41]

17 ივნისს სეპარატისტული ძალები რუსული საზენიტო დანადგარით, „ბუკით“ აფეთქებენ სამგზავრო თვითმფრინავს. ბორტზე მყოფი 298 ადამიანი დაიღუპა.[42]

---

[38] *Uppsala Conflict Data Program*. UCDP. (n.d.-a). https://ucdp.uu.se/country/369

[39] BBC. (2023). *Crimea profile*. BBC News. https://www.bbc.com/news/world-europe-18287223

[40] Lenta.RU. (2014). *Стрелков признал ответственность за военные действия на украине*. https://lenta.ru/news/2014/11/20/strelkov/

[41] BBC. (2015). Военные РФ на войне в Донбассе. Основные расследования. BBC News Русская служба. https://www.bbc.com/russian/international/2015/05/150511_russian_military_ukraine_investigations

[42] JIT MH17. Home. (n.d.). https://www.politie.nl/en/information/witness-appeal-crash-mh17.html

2014 წლის სექტემბერში დაიდო მინსკის პირველი შეთანხმება. 2014-2015 წლების ზამთარში ესკალაციის შემდეგ (ბრძოლები დებალცევოსთვის), დაიდო მინსკის მეორე შეთანხმება. შეთანხმების ორივე ვერსიაში პირველი პუნქტი იყო ცეცხლის შეწყვეტა (და ჯარების გაყვანა მეორე შეთანხმების მიხედვით), შემდეგ წარმოადგინეს პოლიტიკური ზომები უკრაინის სეპარატისტული რეგიონების სტატუსის გადასინჯვის მიზნით. თუმცა, რეალურად ცეცხლის შეწყვეტისა და ჯარების გაყვანის პუნქტებიც კი არ განხორციელებულა.[43] ვითარება პერიოდულად იძაბებოდა 2022 წელს უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიან შეჭრამდე.

საზოგადოებრივი აზრი:

ყირიმის ანექსია ერთადერთი მაგალითია იმისა, თუ როგორი მნიშვნელოვანია რუსეთისთვის ტერიტორიების დაპყრობა. ФОМ-მა და ВЦИОМ-მა რეფერენდუმის პარალელურად ერთობლივად ჩაატარეს მეგა-გამოკითხვა: 91%-მა უპასუხა, რომ „თანახმაა, ყირიმი შემოუერთდეს ჩვენს ქვეყანას“. ამას გარდა, ВЦИОМ-ის მონაცემებით, 89% იზიარებს შეხედულებას, რომ „ყირიმი - რუსეთია“ და შეკითხვაზე „თუკი დადგება ყირიმის ტერიტორიის საკითხი და საქმე რუსეთსა და უკრაინას შორის კონფლიქტამდე მივა, თქვენი აზრით, რა პოზიცია უნდა დაიჭიროს რუსეთმა? 80% პასუხობს, რომ „რუსეთმა ბოლომდე უნდა იბრძოლოს ყირიმის დასაუფლებლად, ყირიმი ამას იმსახურებს.“

მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლები მიმდინარეობს აღმოსავლეთ უკრაინაში, გამოკითხვებში რუსები ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებენ. 2014 წლის განმავლობაში ВЦИОМ სვამდა შეკითხვას: „როგორი პოზიცია უნდა ჰქონდეს რუსეთს დონეცკის და ლუგანსკის რესპუბლიკებთან დაკავშირებით?“ თითქმის უმრავლესობა (36-45%) პასუხობს, რომ „არ უნდა ჩაერიოს, შეინარჩუნოს ნეიტრალურობა.“ იმ მიზეზთა შორის, „რატომაც რუსეთმა მონაწილეობა უნდა მიიღოს აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტში“, 29% თვლის, რომ „იღუპება მომმე ხალხი, ჩვენი მეზობლები.“ მაგრამ ეს კითხვა დაუსვეს გამოკითხვის მხოლოდ 30%-ს, რომელმაც მანამდე უპასუხა, რომ აუცილებელია კონფლიქტში ჩარევა – ანუ მთლიანობაში ასე ფიქრობს გამოკითხულთა დაახლოებით 10%. ФОМ-ის კვლევაც მსგავს შედეგებს აჩვენებს: 7% ამბობს, რომ აუცილებელია ДНР-ის и ЛНР-ის აჯანყებულების მხარდაჭერა, რადგან ამ ტერიტორიებზე ბევრი რუსი ცხოვრობს.

„მოხალისეთა“ მონაწილეობას უმრავლესობა არ განსჯის, მაგრამ ურჩევნია, საერთოდ არ შეიმჩნიოს. ლევადა-ცენტრი: „იცით თუ არა, რომ უკრაინის ტერიტორიაზე, ბრძოლებში დაიღუპნენ ფსკოვის დივიზიის მედესანტეები?“ 50% – არ გაგვიგია, 46% – გავიგეთ. ამასთანავე, 37% თვლის, რომ „ისინი იყვნენ მოხალისეები, რომლებიც დამოუკიდებლად წავიდნენ აჯანყებულების დასახმარებლად უკრაინის აღმოსავლეთში,“ და 12% – ”ეს იყო სამხედრო პერსონალი, რომელიც იქ სამხედროების მეთაურობით გაგზავნეს.” 23%-მა კი უპასუხა, რომ ესაა „დეზინფორმაცია ინტერნეტიდან.“

„გჯერათ თუ არა ცნობების, რომელთა მიხედვითაც უკრაინაში ბრძოლებში დაიღუპნენ რუსი სამხედრო მოსამსახურეები, ე.წ. „ტვირთი ორასი?“ 42% – დიახ", 31 – არა. „როგორი დამოკიდებულება გაქვთ რუსი *მოხალისეების* მონაწილეობასთან დონეცკის და ლუგანსკის რეგიონებში მიმდინარე დაპირისპირებაში? 2014 წლის მაისი-სექტემბერი – დადებითი, თითქმის 60%.

2014 წლის ნოემბერი: „თუკი გაიგებდით, რომ რუსი ჯარისკაცები იბრძვიან აღმოსავლეთ უკრაინაში აჯანყებულებს შორის, როგორი დამოკიდებულება გექნებოდათ? „სრულიად/საკმაოდ დადებითი – 45%, „მკვეთრად/საკმაოდ უარყოფითად“ – 34%. მაგრამ ამავე დროს, ВЦИОМ-ის კითხვაზე: „როგორ შეაფასებდით, თუ თქვენმა ნაცნობი, მეგობარი ან ნათესავი გადაწყვეტს დონბასში საბრძოლველად წასვლას?“ — 45% პასუხობს „დადებითად“ და იგივე რაოდენობა „უარყოფითად.“

ზოგადად, რუსული საზოგადოებრივი აზრი დონბასის ომთან დაკავშირებით ხელისუფლების ნარატივს ასახავს. უმრავლესობა მხარს არ უჭერს რუსეთის მონაწილეობას ომში, მაგრამ თავად

[43] Жилин, И. (2022) Не по протоколу. Что такое Минские соглашения. Новая газета. https://novayagazeta.ru/articles/2022/11/04/ne-po-protokolu-media

რუსეთიც ოფიციალურად უარყოფს ამ მონაწილეობას. პასუხებში ჩნდება „საკუთარი თავის“ და „მომმე ხალხის“ დაცვის იდეა, მაგრამ ის პოპულარული არ არის. 90-იანი წლების გამოკითხვებისგან განსხვავებით, რუსები აღარ აღიარებენ საკუთარი ხელისუფლების ან „წარმომადგენლების“ დანაშაულს. მაგალითად, ФОМ-ის გამოკითხვაში ნათქვამია, რომ უკრაინის ხელისუფლება არ ცდილობს მიაღწიოს მშვიდობას, მაგრამ თვითგამოცხადებული ДНР-ის და ЛНР-ის ლიდერები „იღვწიან და საკმარისს აკეთებენ ამისთვის.“

ომი სირიაში: რუსული იარაღის ძალის დემონსტრირება

კონფლიქტის ფონი:

2011 წელს სირიაში დაიწყო ანტისამთავრობო პროტესტი, რომელიც სწრაფად გადაიზარდა ადგილობრივ სამხედრო დაპირისპირებაში, შემდეგ კი – სამოქალაქო ომში.[44] რუსეთმა დიპლომატიური მხარდაჭერა[45] გაუწია ბაშარ ალ-ასადის მთავრობას, ასევე მიაწოდა ასადის ძალებს სამხედრო აღჭურვილობა და საბრძოლო მასალა და მოამზადა სამხედრო სპეციალისტები.[46]

ძირითადი მოვლენები:

რუსეთი სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობას 2015 წლის 30 სექტემბერს იწყებს,[47] რასაც უწოდებს „სპეციალურ ამოცანებს სირიის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.“ რუსეთის შეიარაღებული ძალების მიზანი უნდა ყოფილიყო ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლა.

თავდაპირველად რუსეთი ოპერაციაში მხოლოდ ავიაციის გამოყენებას გეგმავდა, მაგრამ მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ სირიის სამთავრობო ძალების მხარეს რუსული არტილერია იბრძოდა. გარდა ამისა, სახმელეთო ოპერაციაში აქტიურად მონაწილეობდნენ რუსული კერძო სამხედრო დაჯგუფების „ვაგნერის“ დაქირავებულები.[48]

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ჩართულობის გაცხადებული მიზანი იყო „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლა, რუსი სამხედროები თავს დაესხნენ სირიის ოპოზიციურ ძალებს და დაეხმარნენ ბაშარ ალ-ასადს დაკარგულ ტერიტორიებზე კონტროლის მოპოვებაში, მაგალითად, ალეპოში.[49]

„ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ დიდი ოპერაცია იყო პალმირისთვის ბრძოლა 2016 წლის მარტში.[50]

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სირიის კონფლიქტში რუსეთის მონაწილეობის მიზანი არ ყოფილა მხოლოდ ასადის მხარდაჭერა და „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ რუსეთს სურდა საერთაშორისო იზოლაციის დაძლევა უკრაინაში ომის დაწყებისა და ყირიმის ანექსიის

---

[44] Cable News Network. (2023). *Syrian Civil War Fast Facts*. CNN. https://edition.cnn.com/2013/08/27/world/meast/syria-civil-war-fast-facts/index.html

[45] BBC. (2018). *Syria: Does Russia always use a veto at the UN Security Council?*. BBC News. https://www.bbc.com/news/world-43781954

[46] BBC. (2013). *Россия поставляет Сирии 71% оружия - SIPRI - BBC News Україна*. BBC News. https://www.bbc.com/ukrainian/ukraine_in_russian/2013/03/130318_ru_s_russia_syria_arms

[47] Meduza. (2015). *Россия начала бомбить Сирию Хроника первого дня операции*. https://meduza.io/feature/2015/09/30/den-kogda-rossiya-nachala-bombit-siriyu-hronologiya

[48] BBC. (2018). *Syria War: Who are Russia's Shadowy Wagner mercenaries?* BBC News. https://www.bbc.com/news/world-europe-43167697

[49] HRW. (2016). *Russia/Syria: War crimes in month of bombing Aleppo*. Human Rights Watch. https://www.hrw.org/news/2016/12/01/russia/syria-war-crimes-month-bombing-aleppo

[50] Reuters. (2016). Syrian Army aims for eastward advance with Palmyra Attack | Reuters. https://www.reuters.com/article/idUSKCN0WD1G7/

შემდეგ.[51] გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლებამ ღიად განაცხადა, რომ მათ სირიაში გამოსცადეს ახალი რუსული იარაღი.[52]

რუსეთის პრეზიდენტმა 2017 წლის დეკემბერში გამოაცხადა, რომ სირიაში სამხედრო ოპერაციის მიზნების შესრულებული იყო. ჯარების დიდი ნაწილი უნდა გამოეყვანათ, მაგრამ რუსეთს ჯერ კიდევ ჰქონდა მუდმივი სამხედრო ბაზები სირიაში და ოპერაცია ოფიციალურად არ დასრულებულა.[53] ჯარების გამოყვანის შესახებ კიდევ ერთხელ განაცხადეს 2023 წელს – სირიაში განლაგებული არმიის უკრაინაში გადაყვანის აუცილებლობის გამო.

საზოგადოებრივი აზრი:

სირიის შესახებ გამოკითხვები თავდაპირველად არ ჩანს არც ინტერესი და არც ომში მონაწილეობის მნიშვნელობის აღქმა. ლევადა-ცენტრის გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, რომ თავდაპირველად რუსეთის კავშირმა სირიის სამოქალაქო ომთან რუსების გაკვირვება გამოიწვია – უმრავლესობას გაუჭირდა თითოეულ კითხვაზე პასუხის გაცემა.

2013 წლიდან სირიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ცნობადობა იზრდება და მასთან ერთად იზრდება ბაშარ ალ-ასადის მხარდაჭერაც. „როგორ ფიქრობთ, რა პოზიცია უნდა დაიკავოს რუსეთმა სირიის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით, რომელსაც დასავლური ქვეყნები ადანაშაულებენ ადამიანის უფლებების დარღვევაში და ოპოზიციის საპროტესტო აქციების სასტიკად ჩახშობაში?“ 2011 წლის აგვისტო – 40%-ს უჭირს პასუხის გაცემა, 32%-ს მიაჩნია, რომ რუსეთს არ სჭირდება არც ერთი მხარის მხარდაჭერა, არამედ ცდილობს ისარგებლოს მათი დაპირისპირებით; 21% – „სირია რუსეთის ისტორიული მოკავშირეა და რუსეთმა მხარი უნდა დაუჭიროს სირიის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას დასავლეთის ქვეყნებთან დაპირისპირებაში.“ ორი წლის შემდეგ, 2013 წლის სექტემბერში, გამოკითხულთა 37%-მა უკვე განაცხადა, რომ „სირია რუსეთის ისტორიული მოკავშირეა.“ ანუ სირია „ისტორიულ მოკავშირედ“ საზოგადოებრივ აზრისთვის და გამოკითხულთა ნაწილისთვის უშუალოდ სირიის მოვლენების დროს იქცა.

ამავდროულად, 2013 წლის სექტემბრის ФОМ-ის გამოკითხვაში „შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და რამდენიმე სხვა ქვეყანამ გამოთქვეს მზადყოფნა ჩაერიონ სირიის კონფლიქტში, რათა თავიდან აიცილონ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება. როგორ ფიქრობთ, რა პოზიცია უნდა დაიკავოს რუსეთმა სირიის კონფლიქტში სხვა ქვეყნების სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში?“ 40% პასუხობს, რომ რუსეთი „არ უნდა ჩაერიოს კონფლიქტში.“ 25%-ს უჭირს პასუხის გაცემა, 18% კი ამბობს, რომ რუსეთმა მხარი უნდა დაუჭიროს სირიის ოფიციალურ ხელისუფლებას.

მას შემდეგ, რაც რუსეთი სირიის ომში ჩაერთო, ВЦИОМ-მა რუსებს ჰკითხა: „სირიაში უკვე 4 წელია სისხლიანი ომია. როგორ ფიქრობთ, ვის ეკისრება პასუხისმგებლობის დიდი ნაწილი?” 56% პასუხობს: **„აშშ-ს და მის მოკავშირეებს,“** 14% – „ოპოზიციას, რომელიც იბრძვის „ისლამური სახელმწიფოს“ შესაქმნელად.“ 7% – პრეზიდენტ ასადს, ხოლო 3% – „ოპოზიციას, რომელიც იბრძვის სირიაში დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად“ პასუხებში „ოპოზიციის“ ცნება, როგორც ჩანს, შეგნებულად ბუნდოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკები არ შეიძლება ჩაითვალოს „სირიის ოპოზიციად.“

ხელისუფლების გადაწყვეტილების მხარდაჭერა დიდად არ უკავშირდება ამ გადაწყვეტილების გაცნობიერებას. „იცით, რა პოზიცია დაიკავა რუსეთმა სირიის კონფლიქტში? გთხოვთ აღწერეთ ორი-სამი სიტყვით.“ 41%-მა არ იცის; 18% პასუხობს – „ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლა, პრეზიდენტ ასადის მხარდაჭერა“ (10%-ზე ნაკლები ასახელებს სხვა ვარიანტებს). დაბალი

[51] Маркус, Дж. (2016). Что дала Путину военная операция в Сирии? BBC News Русская служба. https://www.bbc.com/russian/features-37522601

[52] РБК. (2015). Сирийский полигон: какое оружие Россия впервые применила в Сирии. https://www.rbc.ru/politics/19/11/2015/564dde149a7947255482bfd8

[53] Смагин, Н. (2023). *Другая спецоперация. Зачем Россия остается в Сирии.* Carnegie Politika. https://carnegieendowment.org/politika/88902

ინფორმირებულობის მიუხედავად, 52% პასუხობს, რომ რუსეთს სჭირდება ბაშარ ალ-ასადის მხარდაჭერა. 64% ეთანხმება განცხადებას: „რუსეთს სჭირდება მონაწილეობა სირიის კონფლიქტში, რათა შეაჩეროს ისლამური ტერორისტები შორეულ მისადგომებთან და არა საკუთარ ტერიტორიაზე“. 66% მხარს უჭერს **„პრეზიდენტ პუტინის** გადაწყვეტილებას სირიაში რუსული სამხედრო თვითმფრინავების გაგზავნის **ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საბრძოლველად**. კითხვის ფორმულირება ნათლად აჩვენებს ვინაა გადაწყვეტილების მიმღები და არ ტოვებს გადაწყვეტილების მიზნებში დაეჭვების შესაძლებლობას – ანუ კითხვა რესპონდენტებს ორივე მხრიდან სწორი პასუხისკენ „უბიძგებს.“

გამოკითხვებში თითქმის არ არის ნახსენები სირიელი მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი. მაგალითად, 2018 წელს რუსულმა კვლევითმა კომპანიებმა იკითხეს სირიის ხელისუფლების მიერ ქალაქ დუმაში ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ. ФОМ-ის გამოკითხვაში გამოკითხულთა 43% ამბობს, რომ დუმაში ქიმიური იარაღი არ ყოფილა გამოყენებული. ВЦИОМ არ სვამს კითხვას აკრძალული იარაღის გამოყენების შესახებ: „შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთის არაერთმა ქვეყანამ დაადანაშაულეს სირიის ოფიციალური ხელისუფლება (პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი) ქიმიური იარაღის გამოყენებაში. ამასთან, მათ სირიის წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღების შესახებ განაცხადეს. როგორ ფიქრობთ, თუ აშშ დაიწყებს სამხედრო ოპერაციებს სირიის ტერიტორიაზე სირიის ოფიციალური ხელისუფლების წინააღმდეგ, რუსეთმა უნდა გაუწიოს თუ არა სამხედრო მხარდაჭერა სირიას?“ 66% ფიქრობს, რომ გაუწიოს დახმარება, ანუ ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი არ არის მნიშვნელოვანი – მთავარია შეერთებულ შტატებთან შესაძლო დაპირისპირება.

სირიის ომის შესახებ მონაცემების მაგალითზე, ასევე ჩანს დასავლეთთან დაპირისპირების იდეა და ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების მხარდაჭერის მზაობა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გამართლებული და საჭირო ჩანდა ის ადრე.

სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში

კონფლიქტის ფონი:

უკრაინაში შეჭრა, ფაქტობრივად, ზემოხსენებული 2014 წელს დაწყებული ომის გაგრძელებაა,

2021 წელს რუსეთის ხელისუფლებამ რამდენჯერმე ჩაატარა ფართომასშტაბიანი წვრთნები უკრაინის საზღვართან. ჯარები ასევე გადაიყვანეს ოკუპირებული ყირიმის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე და ბელორუსში „ერთობლივი წვრთნებისთვის.“ დიპლომატიურ დონეზე, რუსეთის ხელისუფლება მუდმივად უარყოფდა იმას, რომ უკრაინაში შეჭრას გეგმავდა და ამავე დროს ითხოვდა, არ გაფართოებულიყო ნატო.[54]

ძირითადი მოვლენები:

2022 წლის 21 თებერვალს ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ე.წ. ДНР და ЛНР-ის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, ხოლო 22 თებერვალს რუსული ჯარები შევიდნენ სეპარატისტების მიერ კონტროლირებად უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში „სამშვიდობო“ ოპერაციის ჩატარების საბაბით.[55]

24 თებერვალს, დილით, რუსეთმა უკრაინაში დაიწყო სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია.[56]

ოფიციალურად რუსეთში ომს „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“ უწოდებენ (სიტყვა „ომის“ გამოყენება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გულისხმობს).

---

[54] *Uppsala Conflict Data Program*. UCDP. (n.d.-a). https://ucdp.uu.se/country/369#:~:text=In%202021%2C,Russian%20borders.%20On

[55] იქვე

[56] იქვე

რუსეთის ჯარებმა დაიწყეს შეტევა რამდენიმე მიმართულებით, რათა დაეპყროთ კიევი და უკრაინის ტერიტორიის დიდი ნაწილი. უკრაინამ მოახერხა რუსული შენაერთების წინსვლის შეკავება, მიუხედავად მათი რიცხობრივი უპირატესობისა, 2022 წლის გაზაფხულზე რუსული ძალები რამდენიმე მიმართულებით უკან იხევენ. ბევრ გათავისუფლებულ დასახლებაში ჩნდება მტკიცებულება იმისა, რომ რუსი სამხედროებმა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩაიდინეს მასობრივი დანაშაულები.[57]

სამხრეთ უკრაინაში რუსულმა ჯარებმა სამთვიანი თავდასხმის შემდეგ დაიპყრეს მარიუპოლი, რის შედეგადაც ალყის დროს ათიათასობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, ასევე უზარმაზარი სამხედრო დანაკარგი იყო ორივე მხრიდან.

2022 წლის შემოდგომაზე უკრაინის ჯარებმა დაიწყეს წარმატებული კონტრშეტევა.[58]

ექსპერტების აზრით, 2023 წელს ომი ჩიხში შევიდა. ვერც ერთმა მხარემ ვერ მოახერხა ფრონტზე სიტუაციის მნიშვნელოვნად შეცვლა. რუსეთმა ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად და უზარმაზარი მსხვერპლის ფასად დაიპყრო ბახმუტი. უკრაინულმა კონტრშეტევამ აღმოსავლეთში 2023 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე ვერ მიაღწია დასახულ მიზნებს, თუმცა, უკრაინელებმა შეძლეს ადრე ოკუპირებული ტერიტორიების ნაწილის გათავისუფლება. [59]

თავდაპირველად რუსეთის ხელისუფლება ომის წარმოებას პროფესიონალი სამხედრო ძალებით გეგმავდა. მაგრამ უკვე პირველ თვეებშივე გაჩნდა ცნობები, რომ ფრონტზე წვევამდელები იგზავნებოდნენ.[60] 2022 წლის ზაფხულიდან ფორმალურად არალეგალური კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერი“ ახორციელებდა რუსეთის ციხეებში მყოფი პატიმრების „დავერბოვკებას.“[61] 2022 წლის შემოდგომაზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებას მობილიზაციის შესახებ და ფრონტზე მინიმუმ 300 ათასი კაცი გაიწვიეს.[62]

სამხედრო ოპერაციები უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, თუმცა პერიოდულად დაბომბვას ექვემდებარება რუსეთის სასაზღვრო რეგიონებიც.[63] გარდა ამისა, ბელგოროდის რაიონზე სახმელეთო თავდასხმები განხორციელდა „რუსეთის მოხალისეთა კორპუსის“ მიერ (უკრაინის არმიის ნაწილი, რომელიც რუსეთის მოქალაქეებისგან შედგება).[64] ასევე, თვითმფრინავები რამდენჯერმე შეფრინდნენ რუსეთის ტერიტორიაზე (ამ თავდასხმებზე პასუხისმგებლობა არავის აუღია). [65]

---

[57] იქვე

[58] იქვე

[59] Council on Foreign Relations. (2024). *War in Ukraine | global conflict tracker*. https://www.cfr.org/global-conflict-tracker/conflict/conflict-ukraine

[60] BBC. (2022). *Россия признала нахождение солдат-срочников в Украине*. BBC News Русская служба. https://www.bbc.com/russian/news-60680182

[61] Красникова, Ю. (2022) *“А потом пришли новости, что Славу снарядом разорвало.”* Важные истории.https://istories.media/investigations/2022/09/19/a-potom-prishli-novosti-chto-slavu-snaryadom-razorvalo/

[62] РБК. (2023). *Минобороны представило социальный портрет мобилизованного*. https://www.rbc.ru/politics/27/12/2023/658afe579a794715da1b612c

[63] РБК. (2024). *В Курской области обстреляли село Сергеевка*. https://www.rbc.ru/rbcfreenews/65fdaeb99a79476d47491f3b

[64] Добрынин, С. (2023). *Рейд сквозь туман. Чего добились бойцы РДК под Белгородом*. Радио Свобода. https://www.svoboda.org/a/reyd-skvozj-tuman-chego-dobilisj-boytsy-rdk-pod-belgorodom/32426187.html

[65] РБК. (2023). *Число атак беспилотников на российские регионы превысило 500*. https://www.rbc.ru/politics/31/08/2023/64e5fe5e9a7947958ce0f656

რუსეთის მხრიდან, ჟურნალისტების ცნობით, 2022-2023 წლებში 47-დან 75 ათასამდე ჯარისკაცი დაიღუპა.[66]

უკრაინაში შეჭრის გამო რუსეთს ბევრმა ქვეყანამ დაუწესა სანქციები.[67]

ომის დაწყების შემდეგ ასიათასობით რუსმა დატოვა ქვეყანა.[68]

საზოგადოებრივი აზრი

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, როგორც წინა ომების შემთხვევაში, ასევე უკრაინაში შეჭრის შემდეგ, არ მიუთითებდა იმაზე, რომ რუსები ომისთვის ემზადებოდნენ, მიუხედავად ცნობებისა „ვარჯიშების“ შესახებ. ლევადა-ცენტრმა 2021 წლის დეკემბერში იკითხა: „როგორ ფიქრობთ, დაძაბულობა აღმოსავლეთ უკრაინაში შეიძლება გადაიზარდოს რუსეთსა და უკრაინას შორის ომში? 38%-მა უპასუხა, რომ „ნაკლებად სავარაუდოა“ 15%-მა – „სრულიად გამორიცხულია.“ 36%-მა – „საკმაოდ სავარაუდოა“ და 3%-მა – „ეს გარდაუვალია.“ 2021 წლის აპრილში ვითარება დაახლოებით იგივე იყო.

ამავე გამოკითხვაში **პასუხისმგებლობა გამწვავებაზე** უკვე ეკისრება მესამე მხარეს: „როგორ ფიქრობთ, ვინ არის აღმოსავლეთ უკრაინაში სიტუაციის გამწვავების ინიციატორი? 50% – „აშშ, ნატოს ქვეყნები“, 16% – „უკრაინა (კიევი)“ (ДНР/ЛНР – არაღიარებული რესპუბლიკები“ – 3%, „რუსეთი“ – 4%).

ომის დაწყებამდე რუსები გამოკითხვებში ასევე არ გამოხატავდნენ მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას უკრაინისა და უკრაინელების მიმართ. კითხვაზე „რას ფიქრობთ, ზოგადად, უკრაინაზე ახლა?“ 2021 წლის ნოემბერში 45% პასუხობს, რომ უკრაინის მიმართ კარგი დამოკიდებულება აქვს, 43%-ს კი – ცუდი. რუსების 83%-ს ასევე აქვს „ძალიან კარგი ან ძირითადად კარგი“ დამოკიდებულება უკრაინელების მიმართ.

შეჭრის დაწყებისთანავე, კითხვაზე: **„პირადად მხარს უჭერთ თუ არა რუსეთის შეიარაღებული ძალების მოქმედებებს უკრაინაში“, 68%-მა უპასუხა – „დიახ.“** 40%-მა – "აუცილებლად, დიახ", 28% – "დიახ". 2022 წლის მარტში მხარდაჭერის დონე 81%-მდე გაიზარდა და ამის შემდეგ ლევადა-ცენტრის გამოკითხვებში ეს რიცხვი 70%-ზე მეტია.

შეჭრის დაწყების შემდეგ ВЦИОМ-მა მსგავსი შეკითხვა დასვა: „გთხოვთ, გვითხარით, მხარს უჭერთ თუ არა გადაწყვეტილებას უკრაინაში რუსეთის სპეციალური სამხედრო ოპერაციის ჩატარების შესახებ? მათი მონაცემებით, მხარდაჭერა ასევე სტაბილური რჩება: 2022 წლის თებერვალში – 65%, 2023 წლის იანვარში და 2024 წლის თებერვალში – 68%.

ФОМ-მა ომის მხარდაჭერის შესახებ მონაცემების გამოქვეყნება 2022 წლის მარტიდან შეწყვიტა. თავიდან, კითხვა დაისმოდა ასე: „24 თებერვალს ვლადიმერ პუტინმა გამოაცხადა უკრაინაში სამხედრო ოპერაციის დაწყება. როგორ ფიქრობთ, სამხედრო ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება სწორი იყო თუ არასწორი?“ მოგვიანებით ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ „გამოაცხადა სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ“ ქრება ფორმულირებიდან: „თებერვლის ბოლოს უკრაინაში სამხედრო ოპერაცია დაიწყო. როგორ ფიქრობთ, სამხედრო ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება სწორი იყო თუ არასწორი?“ 2022 წლის 20 მარტს გადაწყვეტილებას

---

[66] Медуза. (2024). *75 тысяч погибших российских солдат 120 смертей в день - вот цена, которую платит Россия за нападение на соседнюю страну. Новое большое исследование "медузы" и "Медиазоны" о потерях.* https://meduza.io/feature/2024/02/24/75-tysyach-pogibshih-rossiyskih-soldat

[67] EU sanctions against Russia explained - consilium. (n.d.-a). https://www.consilium.europa.eu/en/policies/sanctions/restrictive-measures-against-russia-over-ukraine/sanctions-against-russia-explained/

[68] Re:Russia. (2023). Бегство от войны. https://re-russia.net/review/347/

მხარი დაუჭირა 73%-მა, 5%-ით მეტმა, ვიდრე წინა კვირას. ძნელი სათქმელია, ეს გამოწვეულია ფორმულირების ცვლილებით თუ სხვა ფაქტორებით.

FOM-ის სხვა პუბლიკაციებიც აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს კითხვების ფორმულირებამ საზოგადოებრივ აზრზე. კითხვის პირველ ვერსიებში „როგორ ფიქრობთ, რა მიზნები აქვს რუსეთს და უპირველესად რის მიღწევას ელის ის ამ სამხედრო ოპერაციის შედეგად?“ თავიდან პასუხების ექვსი ვარიანტი იყო, შემდგომ გამოკითხვებში კი – ოთხი.

როგორ ფიქრობთ, რა მიზნები აქვს რუსეთს, რომელთა მიღწევაც, უპირველესად სურს ამ სამხედრო ოპერაციით?			
6 მარტი		13 მარტი	
დაიცვას საკუთარი საზღვარი	62	უზრუნველყოს რუსეთის უსაფრთხოება, მიაღწიოს უკრაინის განიარაღებას და არ დაუშვას ნატო მის ტერიტორიაზე	67
დაიცვას ДНР-ის და ЛНР-ის მოსახლეობა	59	დაიცვას ДНР-ის და ЛНР-ის მოსახლეობა	51
არ დაუშვას უკრაინის შესვლა ნატოში და ნატოს ბაზების განთავსება უკრაინის ტერიტორიაზე	39		
შემოუერთოს დონბასი რუსეთს	20		
შეცვალოს უკრაინის პოლიტიკური წყობა და ხელისუფლებაში მოიყვანოს პრორუსული ძალები	16	შეცვალოს უკრაინის პოლიტიკური კურსი, მოაშოროს ნაციონალისტები ხელისუფლებიდან	22
გააუქმოს უკრაინის სახელმწიფოებრიობა და უკრაინა შეუერთოს რუსეთს.	9	გააუქმოს უკრაინის სახელმწიფოებრიობა და უკრაინა შეუერთოს რუსეთს.	11
სხვა	3		
მიჭირს პასუხის გაცემა, სხვა პასუხი	7	მიჭირს პასუხის გაცემა	9

ორივე შეკითხვის შემთხვევაში შესაძლებელი იყო ერთზე მეტი ვარიანტის არჩევა

როგორ შეიცვალა კითხვა? გაქრა ვარიანტი: „შემოუერთოს დონბასი რუსეთს“. გამოკითხვის პირველ ვერსიაში პასუხი *(„შეცვალოს უკრაინის პოლიტიკური წყობა და ხელისუფლებაში მოიყვანოს პრორუსული ძალები“)* უფრო მეტად კეთდებოდა აქცენტი რუსეთის პოლიტიკურ სარგებელზე. მეორე ვერსიაში, მსგავსი ვარიანტი *(„შეცვალოს უკრაინის პოლიტიკური კურსი, მოაშოროს ნაციონალისტები ხელისუფლებადან“)* ლაპარაკია „ნაციონალისტებზე,“ რუსეთის სარგებლის ხსენების გარეშე. ვარიანტი „დაიცვას საზღვრები“ ერწყმის ვერსიას – „არ დაუშვას უკრაინის ნატოში გაწევრიანება“ (ეს ფორმულირება დაუყოვნებლივ მიუთითებს იმაზე, რისგან უნდა „დაიცვან საზღვრები“).

ზოგადად, კითხვაზე პასუხის ვარიანტების მეორე ვერსია უფრო ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა რუსეთის ხელისუფლების მიმართ კრიტიკული პოზიციის გამოსახატავად. კითხვის პირველ ვერსიაში, ასე თუ ისე, რესპონდენტთა 45%-მა აირჩია ვარიანტები, რომლებიც

სთავაზობდა რუსეთის ქმედებების დაგმობას ან მისი პასუხისმგებლობის აღიარებას. ხოლო მეორე ვერსია – მხოლოდ 11%.

თუმცა, კითხვის ორივე ვერსიაში რუსები მიზნად ასახელებენ „დაცვას.“ „დაიცვას საზღვრები“ (60%, 2022 წლის თებერვალი), „უზრუნველყოს რუსეთის უსაფრთხოება, მიაღწიოს უკრაინის განიარაღებას და არ დაუშვას ნატო მის ტერიტორიაზე“ (67%, 2022 წლის მარტი). პოპულარობის მიხედვით მეორე შეკითხვა – „დაიცვას ДНР-ის და ЛНР-ის მოსახლეობა“ (58% – 2022 წლის თებერვალი, 51% – 2022 წლის მარტი).

ВЦИОМ-ის შეკითხვა ომის მიზნების შესახებ შეკითხვა მსგავსია: „თქვენი აზრით, რა მიზანი აქვს რუსეთს უკრაინაში სპეციალური სამხედრო ოპერაციის დროს?” ФОМ კითხვისგან განსხვავებით, აქ შეგიძლიათ აირჩიოთ მხოლოდ ერთი პასუხი. „დაიცვას რუსეთი, განაიარაღოს უკრაინა და თავიდან აიცილოს ნატოს სამხედრო ბაზების განთავსება მის ტერიტორიაზე“ – 43% (2024 წლის თებერვალი). „დაიცვას ДНР-ის, ЛНР-ის, ზაპოროჟიის და ხერსონის რეგიონების მოსახლეობა" – 20% (2024 წლის თებერვალი). ВЦИОМ--ის კითხვაზე პასუხის ოთხი ვარიანტია და მათგან მხოლოდ ერთი გულისხმობს რუსეთის ქმედებების კრიტიკულ შეფასებას („უკრაინის ოკუპაცია და მისი შეერთება რუსეთთან“)

ზოგადად, „კვლევითი სამეულის“ მიხედვით, **ორი წლის განმავლობაში რუსების დამოკიდებულება ომის მიმართ ფორმალურად პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.** პასუხების განაწილება კითხვაზე „რუსი სამხედროების ქმედებების მხარდაჭერის“ ან „სპეციალური ოპერაციის დაწყების გადაწყვეტილების მხარდაჭერის შესახებ“ არ იცვლება, დაახლოებით 70% უცხადებს ხელისუფლებას მხარდაჭერას.

მაგრამ ეს **„მხარდაჭერა“ არათანაბრად ნაწილდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის**. ლევადა-ცენტრის მონაცემებით, „რუსეთის შეიარაღებული ძალების მოქმედებებს“ ყველაზე დიდი მხარდაჭერა 65+ ასაკობრივ ჯგუფში აქვს (89%). ყველაზე ნაკლები კი – 25-34 წლის ჯგუფშია (65%). ლევადა-ცენტრი ასევე აქვეყნებს იმ საინფორმაციო არხების მიმოხილვას, რომლებსაც რესპონდენტები ენდობიან. მოსალოდნელია, რომ მხარდაჭერა ყველაზე მაღალია ტელევიზიის აუდიტორიაში (84%), ყველაზე დაბალი კი – YouTube არხების აუდიტორიაში (61%). ФОМ-საც მსგავსი შედეგები აქვს: 2022 წლის მარტში გადაწყვეტილებას „სამხედრო ოპერაციის“ შესახებ მხარს უჭერს იმ მოსახლეობის 83% ვინც „სიახლეებს ტრადიციული მედიიდან იღებს“ და იმათი მხოლოდ 60%, ვინც „სიახლეებს ინტერნეტიდან იღებს.“

ლევადა-ცენტრი რესპონდენტებს შესაძლებლობას აძლევს შედარებით უსაფრთხოდ გამოხატონ ალტერნატიული თვალსაზრისი. 2022 წლის სექტემბრიდან (პირველად მობილიზაციის გამოცხადებამდეც კი) ის სვამს კითხვას: „როგორ ფიქრობთ, საომარი მოქმედებები უნდა გაგრძელდეს თუ დადგა სამშვიდობო მოლაპარაკებების დრო?“ ეს არის კითხვა, რომელიც საშუალებას გაძლევთ, ისე ისაუბროთ მოვლენების სასურველ განვითარებაზე, რომ არ განსაჯოთ ხელისუფლების უკვე მიღებული გადაწყვეტილება. 2022 წლის სექტემბერში 48%-მა უპასუხა, რომ ღირდა სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება, 44%-მა კი – სამხედრო ოპერაციების გაგრძელება. ოქტომბერში, მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, გამოკითხულთა 57%-მა განაცხადა, რომ აუცილებელია სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება, ხოლო 36%-მა ისევ მხარი დაუჭირა საომარი მოქმედებების გაგრძელებას. თითქმის ყოველთვის, როცა კი ეს შეკითხვა დაისვა, მოლაპარაკების მომხრეები ოდნავ მეტი იყვნენ.

დასახლების ტიპების მიხედვით დაყოფილი მონაცემების მიხედვით, (2023 წლის ნოემბერი) სამშვიდობო მოლაპარაკებების მომხრეთა უმრავლესობა 62% სოფლად ცხოვრობს (საომარი მოქმედებების გაგრძელებას ემხრობა ნახევარი – 31%). მოსკოვში, პირიქით, მხოლოდ 43%-ია სამშვიდობო მოლაპარაკებების მომხრე, 50% კი საომარი მოქმედებების გაგრძელებას უჭერს მხარს.

ასევე შესამჩნევია განსხვავება ქალებისა და მამაკაცების პასუხებში. ქალებს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების მომხრეა 64%, მამაკაცებს შორის კი – 47%.

ამავდროულად, ლევადა-ცენტრის გამოკითხვაში რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ „სპეციალური ოპერაცია წარმატებით მიმდინარეობს“ (ყველაზე ნაკლებმა, 53%-მა თქვა ეს 2022 წლის სექტემბერში). და ასევე უმრავლესობა სიამაყეს გრძნობს „რუსეთის სამხედრო მოქმედებების გამო უკრაინაში“ (45%, 2023 წლის ნოემბერი). მეორე ადგილზეა „შფოთვა, შიში, საშინელება“ (32%, 2023 წლის ნოემბერი).

გამოკითხვები აყალიბებს შეხედულებას არა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ უყურებს უმრავლესობა ომს, არამედ იმასაც კარნახობს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ადამიანები. შეჭრის დაწყებიდან მეორე წლისთავზე ВЦИОМ სვამს კითხვას: „ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? „თითოეულმა რუსმა უნდა შეიტანოს შესაბამისი წვლილი უკრაინაში რუსეთის სპეციალური სამხედრო ოპერაციის წარმატებით დასრულებაში?“ რასაც 72% „უფრო მეტად ეთანხმება“. პარალელურად დაისმის მსგავსი კითხვა: ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით შემდეგ განცხადებებს? ახლა რუსებმა უნდა იცხოვრონ პრინციპით „ყველაფერი ფრონტისთვის, ყველაფერი გამარჯვებისთვის!“ რასაც მხოლოდ 64% ეთანხმება. პირველი კითხვაში საუბარია შესაძლო წვლილზე, ხოლო მეორეში – შესაძლო მსხვერპლზე, პრიორიტეტების ცვლილებაზე („ყველაფერი ფრონტისთვის, ყველაფერი გამარჯვებისთვის“ ესაა მეორე მსოფლიო ომისდროინდელი სლოგანი, რომელიც ყველაფრის გაღებას გულისხმობს). კითხვა არა ყველა რუსზე, არამედ კონკრეტულ რესპონდენტებზე რომ ყოფილიყო მიმართული, შესაძლოა, რიცხვები ალბათ უფრო ნაკლები იქნებოდა.

მთლიანობაში ომისადმი მხარდაჭერის მაღალი დონე ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მის დაწყებამდე არ არსებობდა განსაკუთრებული ნეგატიური დამოკიდებულება უკრაინის მიმართ. ომის მიზნად, უპირველესად თავად რუსეთის დაცვასა და უსაფრთხოებას მიიჩნევენ და მხოლოდ ამის შემდეგ ლაპარაკობენ ДНР-ის და ЛНР-ის დაცვაზე. რუსები აგრძელებენ სამხედრო მოქმედებების მხარდაჭერას, მაგრამ ამავე დროს, სურთ სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება.

დასკვნები:

ომის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ, თუ ВЦИОМ-ის გამოკითხვის მიხედვით ვიმსჯელებთ, „გადაწყვეტილებას უკრაინაში რუსეთის სპეციალური სამხედრო ოპერაციის ჩატარების შესახებ“ კვლავ მხარს უჭერს გამოკითხულთა 68%. ლევადა-ცენტრის მონაცემებით კი „რუსული სამხედრო ძალების მოქმედებებს უკრაინაში 77% უჭერს მხარს.“

წინა ომების შესახებ გამოკითხვებს თუ შედარებთ, უკრაინაში შეჭრის მხარდაჭერა გასაკვირი სულაც არ არის. მაგრამ უნდა ვენდოთ თუ არა ამ რიცხვებს?

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები ხშირად ქმნის რეალობის იმ სურათს, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება. ამის შესახებ სოციოლოგიის ფრანგმა კლასიკოსმა პიერ ბურდიემ 1970-იან წლებში ილაპარაკა თავის ლექციაში „საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს“. და ეს მთლიანად, კვლევის ინდუსტრიის მუშაობის სპეციფიკაა და არა მხოლოდ რუსული სიტუაციის მახასიათებელი.

იმისათვის, რომ გაიგოთ, როგორ უყურებენ რუსები ომს, შეგიძლიათ გადახედოთ 2022 წლის თებერვლის შემდეგ დაწყებული კვლევითი პროექტების რიცხვებს. **სხვა კითხვები და სხვა ინტერპრეტაციები სრულიად განსხვავებულ სურათს ქმნის.** „ქრონიკები“[69] ომის თანმიმდევრულ მხარდამჭერებს სამი მახასიათებლის მიხედვით ყოფს: 1) დამოკიდებულება „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ მიმართ; 2) დამოკიდებულება უკრაინის ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის მიმართ „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ მიზნების მიღწევის გარეშე, 3) დამოკიდებულება

[69] ოპოზიციური პოლიტიკოსის ალექსეი მინიაილოს კვლევითი პროექტი, რომლის ფარგლებშიც ტარდება რუსების დამოუკიდებელ გამოკითხვები უკრაინაში ომის შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების მიმართ: ჯარისთვის ან სოციალური სფეროსთვის. თუ ადამიანი ერთდროულად აცხადებს ომს მხარდაჭერას, საუბრობს ჯარების გაყვანის წინააღმდეგ და თვლის, რომ ბიუჯეტის ფული, უპირველესად არმიაზე უნდა დაიხარჯოს, მკვლევარები მას თანმიმდევრულ მხარდამჭერს უწოდებენ. 2024 წლის იანვარში გამოკითხულთა მხოლოდ 17% იყო ომის თანმიმდევრული მხარდამჭერი, ერთი წლის წინ – 22%.

დამოუკიდებელი კვლევითი კომპანია Russian Field რესპონდენტებს უსვამს კითხვას: „თუ ხვალ ვლადიმერ პუტინი ხელს **მოაწერს სამშვიდობო შეთანხმებას და შეაჩერებს სამხედრო ოპერაციას**, დაუჭერდით თუ არა მხარს ასეთ გადაწყვეტილებას? **75% ამბობს, რომ მხარს დაუჭერს** (50% – აუცილებლად დაუჭერს მხარს და 25% – ალბათ მხარს დაუჭერს).

გარდა ამისა, "სპეციალური ოპერაციის მხარდასაჭერად" მზადყოფნა შეიძლება შეფასდეს უპასუხოთა პროცენტითაც – სამხედრო ცენზურის პირობებში (სიტყვა „ომი“ რუსულ სამხედრო ინტერვენციასთან მიმართებაში არღვევს კანონს „არმიის დისკრედიტაციის შესახებ“),[70] ბევრი ადამიანი უარს ამბობს ინტერვიუერებთან საუბარზე. მაგალითად, ლევადა-ცენტრის ექსპერიმენტის მონაცემებში, უარის ამბობს 44% (30% მონაწილეობს ინტერვიუებში; თუმცა ჰიპოთეზა, რომ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული ადამიანები უფრო ხშირად ამბობენ უარს პასუხის გაცემაზე, ამ ექსპერიმენტით არ დადასტურდა).

ერთ-ერთი შესაძლებლობა იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად აყალბებენ რუსები საკუთარ მოსაზრებებს გამოკითხვებში, არის სიის ექსპერიმენტი, რომელიც შესაძლებელს ხდის, არ უპასუხო კონკრეტულ კითხვას. მაგალითად, სოციოლოგები თვლიან, რომ **უკრაინაში სამხედროების მხარდაჭერის დონე სიის ექსპერიმენტის გამოყენებით გამოკითხვისას 15%-ით მცირდება.**

ყველა ეს მონაცემი არ ნიშნავს, რომ ФОМ-ის, ВЦИОМ-ის ან ლევადა-ცენტრის შედეგები განზრახ გაყალბებულია. ეს მხოლოდ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საბოლოო სურათი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ, როგორ და რა მიზნით ატარებს გამოკითხვას.

მაშ, რატომ ვაანალიზებთ გამოკითხვებს, რომლებიც არ ასახავს რეალობას?

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებისადმი ყურადღება უკრაინაში რუსეთის შეჭრის დაწყების შემდეგ გაიზარდა. თუ ადრინდელი გამოკითხვების შედეგები ხშირად იქცეოდა ახალი ამბების სტატიების საბაბად, ომის შემდეგ ჟურნალისტებმა დაიწყეს ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ რას კითხულობენ კვლევითი კომპანიები და როგორ ახერხებენ ხელისუფლებისთვის სასურველი პასუხების მიღებას. მაგალითად, განიხილება კითხვების ფორმულირება და პასუხების ვარიანტები. კვლევითმა კომპანიებმა დაიწყეს ფორმირებადი (კონკრეტული პასუხისკენ წამქეზებლური) კითხვების დასმა 2022 წელს კი არა, არამედ გაცილებით უფრო ადრე დაიწყეს. **როგორც ომების აღქმა, ასევე ომის, როგორც დასაშვები მოვლენის შესახებ საუბარი მრავალი წლის განმავლობაში ყალიბდებოდა. ჯერ ხალხს უსვამენ ფორმირებად კითხვას, შემდეგ გამოკითხვის შედეგები გადაეცემა მედიას და აუდიტორია კიდევ ერთხელ იმეორებს, როგორ მიუდგეს შემდეგ სამხედრო კონფლიქტს და „რას ფიქრობს უმრავლესობა.“**

ომების აღქმის რა თავისებურებები ჩამოყალიბდა ამ წლების განმავლობაში?

1) **მთავრობის გადაწყვეტილებების რეტროსპექტული მხარდაჭერა.** რუსები, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის დამახინჯებულ სურათშიც კი, ჩვეულებრივ ცდილობენ ნეიტრალური პოზიციის დაკავებას და არ ისწრაფვიან მონაწილეობა მიიღონ სამხედრო კონფლიქტებში. მაგრამ თუკი საომარი მოქმედებების დაწყების გადაწყვეტილება ხელისუფლებამ გაახმოვანა, ისინი მხარს უჭერენ ამ გადაწყვეტილებას. ეს შეიძლება აიხსნას „დროშის გარშემო რბოლის“ ფენომენით. მაგრამ ასეთი ერთიანობა არ ყოფილა არც ჩეჩნეთის პირველი ომის და არც დონბასის ომის დროს, როდესაც

[70] 2022 წლის მარტში რუსეთში მიიღეს ორი ახალი კანონი: „ფეიკებზე რუსული არმიის შესახებ“ (რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 207.3 მუხლი - მაქსიმალური სასჯელი 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა) და „არმიის დისკრედიტაციის შესახებ“ (რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 280.3 მუხლი - 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა).

რესპონდენტებმა იცოდნენ, რომ იქ რუსი სამხედროები იბრძოდნენ, მაგრამ ემხრობოდნენ მოსაზრებას, რომ რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო კონფლიქტში.

2) **დასავლეთთან დაპირისპირება.** გამოკითხვებში დასავლეთისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ორი ფორმით გამოხატება. ერთი მხრივ, პასუხის ვარიანტებში ჩნდება „გარე ძალები," როგორც პასუხისმგებელი ომებზე, რომელშიც რუსეთი მონაწილეობს, ან ჩნდება, როგორც საფრთხე რუსეთისთვის. მეორე მხრივ, „გარედან მიღებულ" კრიტიკას უწოდებენ, „დასავლური პროპაგანდას," რომელსაც აქვს „რუსეთის დამცირების" სურვილი.

3) **ომის საშუალებით „თავდაცვის" იდეა.** ომის დროის პროპაგანდისტული კლიშე, რომ „რუსეთი არ იწყებს ომებს", ასევე დიდი ხანია არსებობს გამოკითხვებში. საზოგადოებრივ აზრისთვის ომი, როგორც წესი, მომგებიანია მოწინააღმდეგე მხრისთვის, ხოლო რუსეთი იძულებულია ჩაერიოს, როგორც „დამცველი", „მშვიდობისმყოფელი", ან რუსეთმა უნდა დაიცვას თავი გარდაუვალი საფრთხისგან.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს საკითხები, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლება ან არ არის დაკავშირებული ომების აღქმასთან. ჩეჩნეთის მეორე ომის დროს ყალიბდება ძლიერების, სისასტიკისა და გამბედაობის კულტი, მაგრამ შემდგომში ამის შესახებ კითხვები პრაქტიკულად არ დაისმის. გამოკითხვებში ჯერ არ ჩანს ტერიტორიების შემოერთების ღირებულება (ყირიმის ანექსიის გამოკლებით). როცა რუსები გამოკითხვებში საუბრობენ „დაცვაზე," მაინდამაინც „საკუთარი თავის", „რუსების" დაცვა არ იგულისხმება. „რუსული სამყაროს დაცვის" აუცილებლობის იდეა გამოკითხვებში უფრო მეტად მარგინალურია. თუმცა, ამავე დროს, საკუთარი თავის ან აბსტრაქტული „მოქალაქეების" დაცვა კარგი საშუალებაა ძალადობის გასამართლებლად.

ერთი მხრივ, გამოკითხვების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, რომ რუსები არც ისეთი სასტიკები არიან, როგორც შეიძლება ჩანდეს – ისინი საუბრობენ ომის მხარდაჭერაზე, თუმცა, დიდი რაოდენობით დათქმებით, რაც მათ საშუალებას აძლევთ არ გამოიყურებოდნენ სასტიკად არაადამიანური პოზიციის გამართლების დროს.

მეორე მხრივ, რუსეთის ხელისუფლებას ხშირად განიხილავენ, როგორც პლებისციტურ რეჟიმს, რომელსაც ძალაუფლების ლეგიტიმურობა „ხალხის ნების" გამოხატვით აქვს მიღებული (და გამოკითხვებიც შეიძლება იყოს ასეთი გამოხატულება). ამ რეჟიმის პირობებში, გამოკითხვის ტრადიციებში ჩადებული მოჩვენებითი ნაკლები სისასტიკე, რუსეთის ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, მიიღოს ყველაზე სასტიკი გადაწყვეტილებები რუსეთის ყველა მოქალაქის სახელით. მაგალითად, 2024 წელს ფედერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას ვლადიმერ პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სპეციალურ სამხედრო ოპერაციას" მხარს უჭერდა „რუსი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა," ხოლო სახელმწიფო დუმის სპიკერმა რუსებს, რომლებმაც დატოვეს ქვეყანა ომის დაწყების შემდეგ, „მოღალატეები" უწოდა. ასეთი განცხადებები მთლიანად შეესაბამება იმ ფასადს, რომელსაც რუსების ირგვლივ ქმნის გამოკითხვები და ეს ფასადი, თავის მხრივ, პოლიტიკოსებს საშუალებას აძლევს იმოქმედონ უმრავლესობის სახელით.

ავტორი მადლობას უხდის სოციოლოგ კონსტანტინე გლაზკოვს ამ საკითხების განხილვისთვის პოდკასტში „შემობრუნება არასწორ მხარეს."